(ა) იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი

2021 წლის 12 თვის ანგარიში

1. სტრუქტურა

ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ შეიქმნა ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 7 დეკემბრის #902 ბრძანების საფუძველზე.

ა (ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ მუშაობას შეუდგა 2018 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული ორგანიზაცია აერთიანებს მომსახურების რამოდენიმე სფეროს, მათ შორის:

1. ქუჩების დაგვა -დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა (მერიისა და სხა ადმინისტრაციული შენობების მოვლა პატრონობისა და დალაგების მომსახურება)
2. გამწვანებითი სამუშაოები, სკვერების მოვლა-პატრონობა
3. ქალაქის ქუჩების გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა.
4. უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვის კონტროლი
5. მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილება
6. საბინაო ფონდის მოვლა -პატრონობა
7. მაწანწალა ძაღლების კონტროლი
8. ქალაქის ქუჩების სარემონტო სამუშაოები
9. ასევე შეიქმნა საქმიანი ეზო რომელიც სხვა განყოფილებებთან ერთად ახორციელებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამუშაოების შესრულებას.
10. 2020 წლის 01 აგვისტოდან გამწვანების განყოფილებასთან ფუნქციონირებს სანერგე-საჩითილე მეურნეობა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 240 კაცს

2. ბიუჯეტი

- ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“-სათვის 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ზემოთხსენებული სამუშაოების და მომსახურებების გასაწევად ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა - 3 003 000 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე 1 948 600ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 1 928100 ლარი), შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებაზე -62800ლ (ათვისებულ იქნა 61300 ლარი), ოფისის ხარჯებზე- 44600ლარი (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 33 300 ლარი), რბილი ინვენტარის და უნიფორმის შესაძენად -21 000ლ (ათვისებულ იქნა 19 600 ლარი), ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციაზე და მოვლა-შენახვის ხარჯებზე -478900ლ (ათვისებულ იქნა 465700 ლ), სხვა დანარჩენი საქონელი და

მომსახურება -424300 ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 379800ლ), არაფინანსურ აქტივებზე -18000ლ (ათვისებულ იქნა13100 ლარი), მივლინებაზე -1100ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 300ლ), სხვა ხარჯებზე (დაზღვევაზე) -3700 ლ (ათვისებულ იქნა 1900 ლარი)

სულ 2021 წელს გამოყოფილი 3003000 ლარიდან ფაქტიურად ათვისებულ იქნა (ფაქტიური დაფინანსება) 2903100 ლარი. ფაქტიური ხარჯი შეადგენდა 2 906415 ლარს

ასევე საწარმოს საკუთარი შემოსავლებიდან გამოყენებულ იქნა 98472 ლარი

3. შესყიდვები

საწარმო ყველა სახის შესყიდვებს ახორციელებს საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"-ის შესაბამისად. 2021წლის განმავლობაში ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება 32 მომწოდებელთან -სულ 533 965 ლარზე, გამარტივებული ტენდერით 257 ხელშეკრულება 157 746 ლარზე, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერით 16 ხელშეკრულება 361253 ლარზე. ფაქტიურად 2021წ განხორციელდა 496506 ლარის შესყიდვა ელ.ტენდერით, 135128 ლარის შესყიდვა გამარტივებული ტენდერით და 347596 ლარის შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერით.

4. უსაფრთხოება

საწარმოს თანამშრომლებისთვის საჭიროებისამებრ შეძენილ იქნა პირადი დაცვის (სპეცტანსაცმელი, სამუშაო ხელთათმანები, სპეცფეხსაცმელი, უსაფრთხოების ქამარი) და ჰიგიენური საშუალებები (საპონი).

ყველა თანამშრომელი თითქმის სრულად არის უზრუნველყოფილი დაკავებული პოზიციის შესაბამისად საჭირო ინვენტარით და მოწყობილობით

ჩატარდა სამუშაოები შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით:

- ნაგვის ურნებზე დატანილ იქნა შეაბამისი სტიკერები
- ინდივიდუალურად ა(ა)იპ-ში შემავალი განყოფილებების ყველა თანამშრომლისთვის ჩატარებულ იქნა და პერიოდულად ტარდება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, რომელიც ფიქსირდება ყოველკვარტალური ინსტრუქტაჟის ჟურნალებში.

5. სამოქმედო გეგმა

საწარმოს ყველა განყოფილება მუშაობას ახორციელებს დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ასევე გეგმის გარეთ საწარმოო და საქალაქო აუცილებლობიდან გამომდინარე რეაგირებას ახდენენ ცალკეულ შემთხვევებზე. (მოქალაქეთა განცხადებებზე).

ქუჩების გარე განათების, საბინაო ფონდის მოვლა პარტონობის და გამწვანების განყოფილებები ძირითადად მუშაობენ როგორც სპეციალისტების ინსპექტირების შედეგად დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად, ასევე მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული შეტყობინებების (რომელიც ფიქსირდება ყოველდღიურად სპეციალურ ჟურნალებში და ოპერატიულად გადაეცემათ შესაბამის სამსახურებს) მიხედვით.

6. საქმიანი ეზო

ა(ა)იპ-ის ბაზაზე ფუნქციონირებს საქმიანი ეზო, რომელიც სხვა განყოფილებებთან ერთად ახორციელებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულებას.

სახელდობრ, 2021 წლის 12 თვეში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

-გეგიძის ქუჩაზე ავტოსადგურის ტერიტორიაზე შედუღდა ცხაური

-კუნძულის უბნის ზღვის სანაპირო ზოლზე შეკეთდა ჩავარდნილი ფილები

-კრატასიუკის ქუჩაზე საქმიან ეზოში მოისხა ბეტონის საფარი

-ყოფილი 201 ქარხნის მიმდებარე ტერიტორიასთან აღდგენილ იქნა ჩამოვარდნილი საგზაო ნიშნები

-სამეგრელოს ქუჩაზე შედუღდა-შეკეთდა ჰიდრომექანიზმების ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე პარკის რკინის ჯებირები

-მშვიდობის ქუჩაზე ალექსანდრე დიუმას ძეგლის ირგვლივ მოწყობილ იქნა ფილები

-კრატასიუკის ქუჩაზე საქმიან ეზოში შეკეთდა ადმინისტრაციული შენობის დაზიანებული სახურავი, ასევე სახელოსნოში შეიცვალა ელექტროგაყვანილობები

-ნიკოლაძის სანაპიროზე დამონტაჟდა განათების ბურთი და შედუღდა სტადიონის შესავლელი კარები

-მე-2 საშუალო სკოლის სპორტული დარბაზის სახურავის ჭრილები ამოივსო ქაფით

-საქმიან ეზოში საწყობის სახურავზე მიმდინარეობდა გაწმენდითი სამუშაოები

-ახალ რაიონში სტადიონის ტერიტორიაზე მიყენებულ იქნა ჩამოვარდნილი აბრა

-საქმიან ეზოში მიმდინარეობდა დასუფთავებითი სამუშაოები

-ბარათაშვილის ქუჩიდან ახალ გზაზე მალთაყვის სანაპიროზე, ჭავჭავაძის და ფალიაშვილის ქუჩებზე დამონტაჟებულ იქნა ვიდეო-კამერებისათვის ბოძები და მათზე მოსაწყობი საგზაო ნიშნები

-საქმიანი ეზოში შეკეთდა საწყობისა და სახელოსნოს შენობები

-ქალაქის ცენტრში პატარა პარკში შეკეთდა და დაიდგა ცხაურები და სკამები

-კუნძულის უბნის ზღვის სანაპირო ზოლზე დამზადდა და დაყენებულ იქნა ცხაურები

-კრატასიუკის ქუჩაზე საქმიან ეზოში სახელოსნოსა და საწყობის შენობისსახურავზე მოისხა ფისოვანი ცემენტის საფარი

-მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში შეკეთდა კარები

-ა(ა) იპ -ის ადმინისტრაციული შენობის ბუღალტერიის ოთახში საჰაეროდ დატოვებული ხვრელების დაფარვა თუნუქის ნაჭრებით

-საქმიან ეზოში შეიღება სკამები

-საქმიანი ეზოს საწყობში დამზადდა და აეწყო დახლები

-საქმიან ეზოში დამზადდა საგზაო ნიშნები

-აკაკის ქუჩაზე და 8 მარტისა და იმერეთის ქუჩების გადაკვეთაზე დაყენდასაგზაო ნიშნები

-გორგასლის ქუჩაზე აღდგენილ იქნა საგზაო ნიშნები

-საქმიან ეზოში შეკეთდა საწყობის სახურავი

-კუნძულის უბანში ზღვის სანაპირო ზოლზე დაყენდა ცხაურები

-განხორციელდა ადმინისტრაციულ შენობებზე დროშების დაშვება და აწევა

-მემედ აბაშიძის ქუჩიდან დაზიანებული საგზაო ნიშნები გადატანილ იქნა საქმიან ეზოში, შეკეთდა კვლავ დამონტაჟდა პირვანდელ ადგილზე

-საქმიან ეზოში მოხდა სანაგვე კონტეინერების დახარისხება-მილაგება და ეზოს დასუფთავება

-ფალიაშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩაზე დაყენებულ იქნა ვიდეოკონტროლი

-საქმიან ეზოში მოხდა დაზიანებული სავარჯიშო ტრენაჟორების დასაწყობება

-საქმიან ეზოში შედუღდა შესასვლელი კარები

-დაყენებულ იქნა ეკო დელინატორი 750მმ 8 აგვისტოს მემორიალის ტერიტორიაზე, ბერდიანსკის ქუჩაზე და კოსტავას ქუჩაზე და აღმაშენებლის ქუჩაზე „ნიკორას“ მიმდებარე ტერიტორიასთან

-საქმიან ეზოში აღდგენილ იქნა დამტვრეული კედელი

-ღორღი, სილა და ცემენტი ტრაქტორით გადატანილ იქნა საქმიან ეზოში ავტოფარეხის საძირკვლის გასაკეთებლად

-შეკეთებულ იქნა მოსასვენებელი სკამები რკინიგზის ტერიტორიაზე მე-12 სკოლის წინ და 9 აპრილის ხეივნის #4,6,8 საცხოვრებელი სახლების ეზოებში

-კოკაიას ხეივნის ტერიტორიიდან დაზიანებული საგზაო ნიშნები გადატანილ იქნა საქმიან ეზოში

7. გამწვანების სამსახური

 საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში -2021წლის 12 თვეში ქალაქის მასშტაბით გაითიბა მწვანე საფარი- როგორც ქუჩებში, ასევე სკვერებსა და პარკებში- სულ 2471867კვ.მ, მოიჭრა 146 ძირი ხე, გადაიბელა 15 ძირი ხე, ფორმირებულ იქნა 3429ძირი ხე-მცენარე (ბუჩქი, ხე, პალმა) და 594 გრძ.მ ბუჩქი, შესხეპილ-გასხლული იქნა 81 ძირი ხე, დამუშავდა 49 წაქცეული და დაზიანებული ხე. ხეების მოჭრა, გადაბელვა, დამუშავება ხდება ძირითადად მოსახლეობის მოთხოვნა-განცხადების საფუძველზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვით და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით. კირით შეთეთრებულ იქნა 6023 ძირი ხე . დარგულ იქნა ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ფოთის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული 12866 ძირი სხვადასხვა დასახელების ერთწლიანი ყვავილები, შპს „ჯეაპეიზაჟგეორგიას“ გადმოცემული 148 ძირი ირმის რქა და საწარმოს მიერ შეძენილი 4 ძირი ირმის რქა და 3 ძირი მაგნოლია მოჭრილი ხეები დამორვისა და დამუშავების შემდეგ დაურიგდა მოსახლეობას. ყოველდღიურად წარმოებს სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავება, საჭიროებისამებრ, ნარგავების ირგვლივ ნიადაგის შემობარვა და სავალი გზების ფილების ნიჩბებით გაფხეკა-გაწმენდა

გამწვანების სამსახურში შედის სანერგე მეურნეობა, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2020 წლის 01 აგვისტოდან. აღნიშნული პერიოდიდან ხსენებულ სანერგე მეურნეობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

1. ექსკავატორის დახმარებით გაიწმინდა ფართობი ხე-მცენარეების და ეკალ ბარდისაგან პირველ ეტაპზე 1000 კვ.მ. ფართობზე;

2. ამოიძირკვა აქ არსებული ხე-მცენარეების ფესვები და სხვა ნარჩენები;

3. მოსწორდა (მოშანდაკდა) ფართობი;

4. მიკროტრაქტორით მოიხნა, დაიფრეზა და დაიფარცხა ფართობი;

5. დაიკვალა ფართობი 10 მეტრიან ზოლებად;

6. გაყვანილი იქნა საწრეტი (სამელიორაციო) არხები;

7. მოეწყო ჭაბურღილი;

8. მოეწყო სარწყავი სისტემა;

9. დამზადდა აკაციის ბოძები, დაისო ფართობის გარშემო და შემოიღობა ეკლიანი მავთულით;

10. საცხენოსნო კლუბიდან გადმოტანილ იქნა ხის ირ ოთხიანი შენობა (კოტეჯი) და მოხდა მისი ნაწილობრივ შერემონტება;

11. სანერგეს თანამშრომელთა ძალებით (ყოველგვარი დანახარჯების გარეშე) მოეწყო ორი დამხმარე შენობა (სათავსო), ასევე მოეწყო 100 კვ.მ მოცულობის სათბური (შესყიდული იქნა, მხოლოდ პოლიეთილენის პარკი) მის გადასახურად;

12. მოწესრიგდა და კეთილმოეწყო სანერგე მეურნეობაში შემოსასვლელი და საერთოდ ტერიტორია;

13. მონაწილეობას ღებულობდნენ ცენტრალური პლიაჟის (მალთაყვა) გამწვანების სამუშაოებში, კერძოდ ეწეოდნენ იქ დარგული ხე-მცენარეების გამაგრებისათვის საჭირო ხის ბოძების დამზადებას, ნერგების მათზე მიბმას, ზოგიერთების (დიდი სიმაღლის მცენარეების) თოკებით დაბმის და ცხოველებისაგან დასაცავად ეკალმავთულით შემოზღუდვას, ხელმძღვანელობდნენ აქ დარგული ხე-მცენარეების მორწყვას რამდენიმე თვის მანძილზე.

14. მონაწილეობდნენ ნაბადის უბნის საფეხბურთო სტადიონის გამწვანების სამუშაოებში. კერძო პირის ეზოდან პალმების გადმოტანა-დარგვაში

აღნიშნული სამსახურის ძირითადი საქმიანობა და ფუნქცია-მოვალეობაა სანერგეში დეკორატიული ხე-მცენარეების და ყვავილოვანი ნერგების გამოყვანა, მათი სტანდარტულ ზომებამდე მიყვანა და ქალაქის ამ სახეობებით მომარაგება.

1. დეკორატიული ხე-მცენარეებიდან აღებული თესლების და კალმების დათესვა - დაკალმება. 2. ყვავილოვანი მცენარეებიდან აღებული თესლებისა და კალმების დათესვა-დაკალმება;

3. ტყე-პარკებში და სვა ადგილებში არსებული დეკორატიული ხე-მცენარეებიდან ჩამოცვენილი თესლიდან თავისით აღმოცენებული მცენარეების (ჩითილების) დარგვა-გამოზრდა და სტანდარტულ ზომებამდე მიყვანა. აღნიშნული ოპერაციები ტარდება წლის შესაბამისი პერიოდების გათვალისწინებით, როგორც ღია გრუნტში, ასევე სპეციალურად მოწყობილ სათბურში. სანერგე მეურნეობაში გამოყვანილი დეკორატიული ხეები და ყვავილოვანი თესლნერგები გადაეცემა გამწვანების სამსახურს, საიდანაც ხდება მათი გადანაწილება და დარგვა ქალაქის ქუჩების, სკვერების და სხვადასხვა ტერიტორიების გასამწვანებლად. დღეისათვის სანერგე მეურნეობის ღია გრუნტში და სათბურებში დარგული, დაკალმებული და დათესილია 10000-ზე მეტი სხვადასხვა სახეობის დეკორატიული მცენარის თესლები.

ღია ფართობში დარგულ-დაკალმებულიმცენარეები:

-როზმარინი-74 ბუჩქი

-გინგკო -76 ძირი

-დრაცენა -123 ძირი

-აგავა -171 ძირი

-ნიგოზი -9 ძირი

-ირმის რქა -3 ძირი

-ევენიუსი-327 ბუჩქი

-გარდენია -115 ძირი

-ლუნგუსტრიმი -325 ბუჩქი

-კავკასიური სოჭი -136 ძირი

-ალიანდრა-322 ბუჩქი

-პალმა სხვადასხვა სახეობის-276 ძირი

-ტირიფი -120 ძირი

-ნეკერჩხალი -1225 ძირი

-მარადმწვანე მუხა -275 ძირი

-ბაშმალა -20 ძირი

და სხვადაკალმებული მცენარეები:

-ვერხვი იტალიური-245 კალამი

-ალიანდრა-70 კალამი

-გარდენია -35 კალამი

და სხვა

სათბურში განთავსებული მცენარეები:

-ტრადესკანცია-400 ბუჩქი

-ტუია-1160 ძირი

-ქლოროფიტუმი -122 ძირი

გერანი-40 ძირი

-პალმა-169 ძირი

-ლავანდა-163 ბუჩქი

-ვარდი-37 ძირი

-როზმარინი-547 ძირი

-სილვია -40 ძირი

-ნარცისი -48 ძირი

-ბაშმალა-150 ძირი

-ჟასმინი -40 ძირი

-სოჭი -128 ძირი

-ნაძვი-520 ძირი

-კოწახური-540 ძირი

-ლუნგუსტრუმი 51 ძირი

და სხვა

დაკალმებული მცენარეები

-ვერცხლისფერი ნაძვი-260 კალამ

-ნაძვი -100 კალამი

-როზმარინი -100 კალამი

-გარდენია -500 კალამი

-ლავანდა- 200 კალამი

და სხვა

დათესილი მცენარეები:

ცაცხვი -5 ყუთი

კანფეტის ხე -5 ყუთი

სანერგე მეურნეობის ტერიტორიის გაფართოების მიზნით მოხდა მიწის ახალი ფართობის ათვისება, კერძოდ :

- წინა პერიოდში ათვისებული მიწის ფართობის (1000 კვ.მ) მომიჯნავედ გაიწმინდა ფართობი ხე-მცენარეებისა და ეკალ-ბარდებისაგან (ამოიძირკვა-მოიჭრა). ანუ ათვისებას დაექვემდებარა კიდევ ახალი 4000 (100 მ*40მ) კვ.მ ფართობი .

-აღნიშნული ფართიდან მოსწორდა 1200 (30მ*40მ) კვ.მ ფართობი. მოხდა დაკვალვა 10 მეტრიან ზოლებად- ანუ ყოველი 10 მეტრის დაშორებით გაიჭრა ექსკავატორით სამი საწრეტი (სამელიორაციო) არხი.

-მოიხნა, დაიფრეზა და დაიფარცხა 1200 კვ.მ ფართობი

-დამზადდა ხის ბოძები და მთლიანად შემოიღობა ეკლიანი მავთულით 4000 კვ.მ მიწის ფართობი (ახლად ათვისებული ფართის ნაწილის 2800 კვ.მ ჩათვლით)

-სანერგის წინ (საავტომობილო გზის გასწვრივ) კეთილმოწყობის მიზნით მოხდა ქალაქის ტერიტორიაზე აჭრილი მიწით (გრუნტით) ტერიტორიის ხელოვნურად მოზვინვა.

დღეისათვის აქ დაყრილია დაახლოებით 50 კუბ.მ მიწა-ბალასტი

-ცხელ ამინდში ყოველდღიურად ხდება ღია გრუნტში და სათბურში დარგული მცენარეების მორწყვას (720 კვ.მ ფართობზე)

-პერიოდულად ხდება ღია გრუნტში და სათბურში დარგული მცენარეების გამარგვლა-გაწმენდას სარეველა ბალახებისგან

-ხდება ღია გრუნტში და სათბურში დარგული მცენარეების ქიმიური სასუქით -ამონიუმის გვარჯილით გამოკვება, რაზედაც გაიხარჯა 30 კგ ხსენებული სასუქი

-სანერგე მეურნეობის და მიმდებარე ტერიტორიაზე (900 კვ.მ ფართობზე) გაითიბა სარეველა ბალახები (ბენზინზე მომუშავე სათიბელათი)

-განხორციელდა ცენტრალურ პლაჟზე ცხოველების ზემოქმედებით და სხვა მიზეზებით გამხმარი პალმების შეცვლა ალიანდრის ნერგებით, რისთვისაც ტყე-პარკიდან და სხვა ტერიტორიებიდან ამოღებულ იქნა ალიანდრის ბუჩქები, დანაწილდა ისინი ცალკეულ ძირებად და პალმების ადგილას ჩაირგო თითო ორმოში (45 ძირი პალმის სანაცვლოდ) 3-3 ძირი ალიანდრა ანუ ჯამში დაირგო 135 ძირი ალიანდრას ნერგი, მოხდა მათზე ხის სარების მიმაგრება და თოკით აკვრა

- მომზადდა მიწის, ორგანული სასუქის (ნაკელის) და ტორფის ერთობლივი ნაზავი (სათანადო პროპორციით) მასა დაახლოებით 6 კუბ.მ ოდენობით, ანუ გამზადდა იგი მცენარეების დასაკალმებლად

გამწვანების განყოფილების ხარჯმა 2021 წლის 12 თვეში შეადგინა 454727 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ (საკასო შესრულება) 455500 ლარი (გეგმა 460500 ლ)

8 . ქუჩების დაგვა -დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის განყოფილება

ქალაქის ქუჩების დაგვა/დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სპეცტექნიკით გატანა წარმოებს დამტკიცებული გრაფიკის სრული დაცვით ყოველდღიურად. გარდა ამისა სუფთავდება ქალაქში შექმნილი ხელოვნური ნაგავსაყრელებიც. სანაგვე კონტეინერების დაცლა ხდება დღეში 2-ჯერ, საჭიროების შემთხვევაში სრულდება დამატებითი რეისებიც. კარდაკარ შემოვლით მოსახლეობიდან ნაგავი გაიტანება დღეში 1- ჯერ (ერთიდაიგივე ქუჩიდან ყოველ მე-2 დღეს)

თვითმცლელების საშუალებით კი ხდება ქალაქის სხვადასხვა უბნიდან საწარმოო, სამშენებლო თუ სხვა სახის ნარჩენების(ხის ტოტები, უვარგისი საოჯახო ავეჯი, ტექნიკა და სხვა) გატანა.

ყოველდღიურად დღეში 2-ჯერ (ცენტრალური ქუჩები დღეში 3-ჯერ) ხდება 41 ქუჩის დაგვა-დასუფთავება ფართით -372621კვ.მ. გარდა ამისა საჭიროებისამებრ წარმოებს დაგვა-დასუფთავების სამუშაოები ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა უბნებზე.

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა 2021წლის 12 თვეში შეადგინა 1123231 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 1097900ლ (გეგმა 1139000 ლარი)

9.საბინაო ფონდი

საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის განყოფილება ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული განცხადება-შეტყობინებების საფუძველზე (რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში) და სისტემატიურად კონტროლდება შესრულების მიმდინარეობაც. ყოველთვიურად წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოების ნუსხას თან ერთვის სამუშაოების ნამდვილად შესრულების დამადასტურებელი აქტები ქალაქის სხვადასხვა უბნებში, რომლებსაც ხელს აწერს იმ საცხოვრებელი სახლების მცხოვრებლები, სადაც წარმოებს შეკეთებითი სამუშაოები . იანვარ-დეკემბრის პერიოდში შემოსულია 575 წერილობითი განაცხადი (მათ შორის 105 მერიიდან), რომელთაგან 571 დაკმაყოფილებულია, ხოლო 4 შესრულების პროცესშია. გარდა შემოსული განცხადებებისა სამსახურის მიერ სისტემატიურად ხდება საცხოვრებელი მასივების ტერიტორიების დათვალიერება- ინსპექტირება და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული რეაგირება. ძირითადად შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ეზოებში საკანალიზაციო ჭების, ამონიჩბვის ორმოების და საერთო სარგებლობის საპირფარეშოების გაწმენდა სპეცმანქანით, სარდაფებში, ეზოებში და სადარბაზოებში საკანალიზაციო ქსელის შეცვლა, გასუფთავება და მონტაჟი. სახელდობრ:

- საცხოვრებელი სახლების ეზოებში გაიწმინდა საკანალიზაციო ქსელი და ჭები

- ს/სახლების ეზოებში გაიწმინდა 45 ცალი საკანალიზაციო ამონიჩბვის ორმო

- გაიწმინდა საერთო სარგებლობის 13 საპირფარეშო

-ს/სახლის ეზოში დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა -209გრძ.მ - 22ს/სახლში და 1 სკოლამდელ დაწესებულებაში

-ს/სახლის ეზოში დამონტაჟდა ფასონური ნაწილები -24 ცალი - 11ს/სახლში და 1სკოლამდ. დაწესებულებაში

-ს/სახლის ეზოში შეკეთდა და მოპირკეთდა 23 ცალი საკანალიზაციო ჭა -15 ს/სახლში

- ს/სახლის ეზოში დამონტაჟდა 34 ცალი საკანალიზაციო ჭის რკ/ბეტონის თავსახურები 23 ს/სახლში

-ეზოში მოისხა ბეტონის საფარი -18 ს/სახლში

- ტაბიძის ქუჩაზე ლტოლვილების დასახლების დერეფნიდან ჭამდე დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა 18 გრძ.მ 1ს/სახლში

-ტაბიძის ქუჩაზე ლტოლვილების დასახლების დერეფნიდან ჭამდე დამონტაჟდა ფასონური ნაწილები -12 ცალი 1ს/სახლში

-სარდაფიდან ჭამდე დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა 60 გრძ.მ -5ს/სახლში

-სარდაფიდან ამოიტუმბა წყალი და ფეკალური მასა 10400 კუბ.მ -37 ს/სახლში

- ს/სახლების სარდაფში დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა -544,5 გრძ.მ -83 ს/სახლში

- ს/სახლების სარდაფში დამონტაჟდა 503 ცალი ფასონური ნაწილები -96ს/სახლში

-28 ს/სახლის სარდაფში დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, გასუფთავდა ნაგავისგან და აეწყო

-30 ს/სახლში სართულებსშუა დამონტაჟდა საკანალიზაციოსისტემა -171 გრძ.მ

-33 ს/სახლში სართულებსშუა დამონტაჟდა ფასონური ნაწილები -170 ცალი

-6 ს/სახლში სართულებსშუა დაიშალა საკანალიზაციო სისტემა გასუფთავდა ნაგვისაგან და აეწყო

-შიდა წყლის სისტემა დამონტაჟდა 3 ს/სახლში -20 გრძ.მ

-შიდა წყლის ფასონური ნაწილები დამონტაჟდა 3 ს/სახლში -36 ცალი

-შიდა საკანალიზაციო სისტემა დამონტაჟდა 1ს/სახლში -6გრძ.მ

-შიდა საკანალიზაციო სისტემის ფასონური ნაწილები დამონტაჟდა 1ს/სახლში -4ც

-შიდა საკანალიზაციო სისტემა დაიშალა, გასუფთავდა და აეწყო 1 ს/სახლში

-საწვიმური მილები გამოიცვალა-დამონტაჟდა 33 ს/სახლში 474,5 გრძ.მ

-საწვიმური მილების ფასონური ნაწილები გამოიცვალა 23ს/სახლში 161 ცალი

-წყალსაწრეტი ძაბრი გამოიცვალა 17 ს/სახლში -51ცალი

-საწვიმური ღარი გამოიცვალა 392 გრძ.მ 14 ს/სახლში

-დამონტაჟდა 120 ცალი საწვიმარი ღარის სამაგრი

დასახელებული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა 2021წ 12 თვეში შეადგინა 208989ლ, დაფინანსებამ 239100ლ (გეგმა 261100 ლ)

10. გარე განათება

ქუჩების გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის განყოფილებაც ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული განცხადება-შეტყობინებების საფუძველზე (რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში). 2021 წლის 12 თვეში დაფიქსირებული გვაქვს მხოლოდ **44** შეტყობინება.ასეთი მცირე რაოდენობა განცხადებებისა შედეგია იმისა, რომ სამუშაოები ძირითადად ხორციელდებოდა განყოფილების სპეციალისტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დაზიანებების ოპერატიულად აღმოსაფხვრელად და ქალაქში გარე განათების ქსელი მუშაობდა გამართულად.

ძირითადად სრულდებოდა შემდეგი სამუშაოები: საჭიროებისამებრ გარე განათების სანათების შეცვლა, პროჟექტორებისა და ელექტრო-გამანაწილებელი კარადების შეკეთება/შეცვლა, დაზიანებული ლითონის ბოძების აღდგენა ან ახლით შეცვლა, სადენების შეერთების შემოწმება, კაბელის იზოლაციის წინაღობების შემოწმება, კაბელის დაზიანებული ნაწილების შეცვლა, ქსელში ძაბვისა და დატვირთვის შემოწმება ,დენკვეთების დარეგულირება, კონტაქტორების დარეგულირება-შეცვლა, დამჭერების გადაჭერა, ფოტო-რელეების რეგულირება -შეცვლა და სხვა. სახელდობრ, გამოცვლილ იქნა:

-დროსელი -29ც

-სოდიუმის ნათურა -14ც

-მაგნიტური გამშვები -14ც

-ელ.კაბელი-5261 გრძ.მ

-ელ.სადენი -170 გრძ.მ

-ანკერული დამჭერი -26ც

-კაბელის სამაგრი სიპჩამჭერი -630ც

-ლედის სანათი -13ც

-ელ.გამთიშველი-9ც

-იგნიტორი-36ც

კაბელის სამაგრი ჩამჭერი -172ც

-ლედის სანათის ჩიპი-350ც

-ლედის სანათის დრაივერი-287ც

-ელ.ვაზნა-41ც

-ლედის პროჟექტორი-36ც

-განათების ბურთი -32ც

-ელ. გამანაწილებელი კარადა -6ც

-განათების ბოძი მეორადი-38ც

-მეტალოჰალოგენური ნათურა -3ც

-გოფრირებული მილი-254გრძ.მ

-ეკონათურა 194ც

-ბალასტური ელემენტი -1ც

-მრგვალი მილი -10 გრძ.მ

-ფოტორელე-3

-ელ. ავტომატი -68ც

-ლედის სანათის ლამპიონი -12 ც

-ლედის სანათი -79ც

-გარე განათების ნათურა -70ც

-ლითონის მილი -12მ

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა 2021 წლის 12 თვეში შეადგინა 171996 ლარი, დაფინანსებამ 197200ლარი, (გეგმა 204500ლარი)

11. მოსაკრებელის ადმინისტრირების განყოფილება

2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობა შეადგენდა - 737-ს

ამავე პერიოდისათვის მოქმედი აბონენტების რაოდენობა შეადგენს 11519 -ს, (სულადობა შეადგენს 33488 კაცს)

დაანგარიშდა დავალიანებები ფიზიკური პირების (ადრე არსებული ბაზის გამოყენებით). დაანგარიშების პროცესი და ბაზის განახლება -ცვლილებები მიმდინარეობს ამ ეტაპისთვისაც, ყოველთვიური დარიგების რეჟიმში მოექცა შესაბამისი სააბონენტო ქვითრები.

აბონენტად დარეგისტრირებულ მოქალაქეებს , საკუთარი სააბონენტო კოდის გამოყენებით შეუძლიათ მათზე რიცხული დავალიანების ნახვა ყველა გადახდის აპარატში, ბანკებსა და მათზე მიბმულ სპეციალიზირებულ ინტერნეტ პროგრამებში და შესაბამისად გადასახადის გადახდაც, რაც გარკვეულ წილად სერვისსაც აუმჯობესებს და გვაქვს პროგნოზი თანხების შემოსულობების ზრდის ტენდენციისაც.

დაიგეგმა და განხორციელდა ქალაქ ფოთის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებთან ერთად აქციები საზოგადოებაში მოსაკრებლის გადასახადის ცნობადობის გაზრდის მიზნით. ასევე განყოფილების წარმომადგენლები შეხვდნენ ქალაქში მოქმედ სახელმწიფო ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელებს და მოხდა შეთანხმება თანამშრომელთა სურვილის შესაბამისად, პირადად მათზე რიცხული დავალიანების ყოველთვიურად ხელფასიდან დაფარვის შესახებ. მსგავსი შეხვედრები დაგეგმილია არასახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებთანაც. დღემდე მიმდინარეობს შეხვედრები მოსახლეობასთან და ინტერსიური თანამშრომლობა იურიდიულ პირებთან.

განყოფილების წლიური გეგმა არის 552300ლარი, ხოლო ფაქტიურად ამოღებულია 553319 ლარი. ამოღებული თანხიდან ფიზიკური პირებზე მოდის 19472 ლარი, ხოლო იურიდიულ პირებზე 533847 ლარი. (2020 წელს ამოღებულ იყო 519 544ლარი, აქედან ფიზიკური პირებიდან 31670ლარი, იურიდიული პირებიდან- 487874 ლარი)

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა 2021 წლის 12 თვეში შეადგინა 128645 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 127500ლარი, (გეგმა 133300 ლარი)

12. უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილება

ქვეყანაში და შესაბამისად ჩვენს ქალაქში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე 2021წლის 12 თვეში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილების თანამშრომლები ძირითადად მუშაობდნენ ქალაქის მასშტაბით აკრძალული ტერიტორიებიდან მოხეტიალე ცხოველების განდევნაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სისტემატიური მონიტორინგისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად მოხეტიალე პირუტყვის ქალაქში დაფიქსირების შემთხვევების რაოდენობამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად იკლო. მიუხედავათ, ამისა, წლის განმავლობაში დაფიქსირებულ იქნა ქალაქში უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვის ხეტიალის 15 შემთხვევა. დაჭერილი პირუტყვის ბირკის მიხედვით შესაბამის სამსახურში მეპატრონეების იდენტიფიკაციის შემდეგ გაფორმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 15 ოქმი, რომელიც გადაიგზავნა მეპატრონეებთან (43 სულ საქონელზე - 860 ლარის ჯარიმა) ფოსტის საშუალებით.

რაც შეეხება მიუსაფარი მაწანწალა ძაღლების კონტროლს, მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბრის თვეში, ინდ.მეწარმე „ლერი ჩხარტიშვილის“ მიერ (2021 წლის 15 მარტს ჩვენს საწარმოსთან გაფორმებული #44 და 2021წ 28სექტემბრის #227 ხელშეკრულებების საფუძველზე) განხორციელდა 378 ერთეული მიუსაფარი ძაღლის დროებითი იზოლირება-გადაყვანა, იდენტიფიკაცია საჭდით, დეჰელმენტიზაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია და დაბრუნება პირვანდელ ლოკაციაზე (სპეციალური თავშესაფარის არქონის გამო ძაღლების მხოლოდ დროებითი იზოლაცია ხდება)

აღნიშნული განყოფილების ხარჯმა 2021წ 12 თვეში შეადგინა 110984 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 98800 ლარი (მათ შორის მაწანწალა ძაღლების კონტროლზე 61853ლარი), (გეგმა 98900ლ)

13. ქუჩების მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის განყოფილება

აღნიშნული განყოფილების მიერ 2021წ 12 თვეში ქალაქში დაგრეიდერებულ იქნა 410 908 კვ.მ გზის საფარი

ქალაქის ქუჩების მოსახრეშად გამოყენებულ იქნა 2035 კუბ.მ ღორღი (ხრეში)

ქუჩების ნაწილზე დაიყარა ასფალტო/ბეტონის ანაფრეზის მასალა -896,09 კუბ.მ

300 კგ ბითუმით დამუშავდა და დაიგო ასფალტი 1116 ორმულზე (1000 კვ.მ ფართით)

(გასული წლის შესაბამის პერიოდში დაგრეიდერებულ იქნა 332329 კვ.მ გზის საფარი

და მრავალსართულიანი ს/სახლის ეზოებში მოსაზვინად შეტანილ იქნა 1201 კუბ.მ მოცულობის ღორღი -ხრეში)

გარდა ამისა, განყოფილების თანამშრომლების მიერ ჩატარებულ იქნა სხვადასხვა სახის სამუშაოები ქუჩების კეთილმოწყობის თუ დასუფთავების მიზნით

აღნიშნული განყოფილების ხარჯმა 2021 წლის 12 თვეში შეადგინა 403861 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 390200 ლარი (გეგმა 402100 ლ)

ადმინისტრაციული ხარჯების რაოდენობამ 2021 წლის 12 თვეში შეადგინა 303982 ლარი, დაფინანსებამ-296900 ლარი (გეგმა 303600 ლ)

სულ, 2021 წლის 12 თვეში გეგმით გათვალისწინებულ იყო 3003000 ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 2906415 ლ, ფაქტიურმა დაფინანსებამ 2903100 ლ გამოყოფილი საბიუჯეტო თანხიდან 99 900 ლარის აუთვისებლობა გამოიწვია იმან, რომ დამატებითი 120500 ლარის ჩარიცხვა ა(ა)იპ-ზე განხორციელდა 2021წ ნოემბრის ბოლოს და საწარმომ მისი დიდი ნაწილის ათვისება (ტენდერების გამოცხადება, მასთან დაკავშირებული პროცედურები და სხვა) ვადების სიმცირის გამო ვეღარ მოახერხა

(გასული წლის შესაბამის პერიოდში გეგმით გათვალისწინებულ იყო 2598300 ლ, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 2397274ლ, ფაქტიურმა დაფინანსებამ -2512100ლ)

2022 წ 01 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება იყო 21639 ლ, კრედიტორული დავალიანება 12429 ლ

არსებული პრობლემები და ინიციატივები

ძირითად პრობლემას ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის მუშაობაში წარმოადგენს სპეცტექნიკის დეფიციტი და არსებული ტექნიკების გაუმართავი მდგომარეობა. აღნიშნულის გამო ხშირად ვერ სრულდება განყოფილებების მიერ ნაკისრი ვალდებულებები და გეგმასთან ჩამორჩენის თავიდან აცილების მიზნით გვიწევს სატრანსპორტო საშუალებების იჯარით აყვანა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ძალიან დიდ ეფექტს და ეკონომიას მისცემს ბიუჯეტს თუ ა(ა)იპს ან მერიას ეყოლება საკუთარი გამართული სატრანსპორტო საშუალებები, რომლის ექსპლუატაციაზე პასუხს აიღებს უკვე თავად სერვისების ცენტრი. ძალიან დიდი თანხები ჯდება გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება/რემონტი და იჯარა. კარგი იქნება თუ მომავალში ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ორიენტირებას გააკეთებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე გამოსაყენებელი ავტოსატრატრასპორტო საშუალებების (სპეცნაგავმზიდი, ამწე-ჟირაფი, გრეიდერი, თვითმცლელი, ევაკუატორი და სხვა) შესყიდვაზე, რაც მნიშვნელოვან ეფექტს მოუტანს ქალაქს სამუშაოების ოპერატიულად და ხარისხიანად შესრულების თვალსაზრისით და დაიზოგება საბიუჯეტო თანხები

ქალაქში მოხეტიალე მსხვილფეხა პირუტყვების გადაყვანის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო ეფექტური იქნება თუ აღნიშნული საქმიანობისთვის შეძენილ იქნება შესაბამისად აღჭურვილი ტექნიკა. ასევე პრობლემატურია პირუტყვის განსათავსებელი სადგომის მოწყობის საკითხი.

ქალაქის მასშტაბით ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს მაწანწალა ძაღლები. ხშირია მოქალქეების დაკბენის შემთხვევები. ძალიან მაღალია აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობის მომართვიანობა და პრეტენზიები. ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია, ვაკეთებთ იმას, რომ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე ჩვენი კონტრაქტორი ფირმის მიერ ხდება მითითებული ლოკაციებიდან ძაღლების დროებით ქალაქგარეთ გადაყვანა, აცრებისა და გარკვეული პროცედურების ჩატარება და სპეციალური თავშესაფრების არარსებობის გამო მათი კვლავ უკან დაბრუნება, რაც საბოლოო ჯამში პრობლემის მოგვარების უზრუნველყოფის საშუალებას ნამდვილად არ გვაძლევს. ამდენად ეს საკითხი საჭიროებს ზემდგომ ინსტანციებში დაყენებას